თქვი. შეეწინააღმდეგე. გაიმეორე: გამოხატვის ძალა და გამბედაობა

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

გამოხატვის თავისუფლება

ადამიანის უფლებების სასწავლო კურსი

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

„წერილების მარათონი:“

წერილები ცხოვრებას ცვლის

როდესაც ვინმეს მხარდასაჭერად თუნდაც რამდენიმე ადამიანი ერთიანდება, შედეგი შეიძლება აღმოჩნდეს გასაოცარი.

თითქმის 25 წლის წინ, პოლონეთში, აქტივისტების პატარა ჯგუფმა 24-საათიანი წერილების წერის მარათონი ჩაატარა იმ ადამიანების მხარდასაჭერად, რომელთა უფლებებიც ირღვეოდა. ის, რაც მცირე ზომის ღონისძიების სახით დაიწყო, თანდათან ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე დიდ კამპანიად - „წერილების მარათონად“ იქცა.

2001 წელს 2,326 წერილი მისწერეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს. 2024 წლისთვის ეს რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და 4.6 მილიონ წერილს, ტვიტს, პეტიციაზე ხელმოწერასა თუ სხვა ქმედებას გადააჭარბა, რომლებიც 200-ზე მეტ ქვეყანასა და ტერიტორიაზე განხორციელდა. ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ სოლიდარობისთვის გეოგრაფია არ წარმოადგენს ბარიერს, ხოლო სიტყვას აქვს ძალა, იმედი გააჩინოს და ცვლილებები მოიტანოს. მხოლოდ 2024 წელს თითქმის 1-მა მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ადამიანის უფლებების საგანმანათლებლო ისეთი აქტივობების მეშვეობით, როგორიც ეს არის.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ერთობლივმა ქმედებებმა 115-ზე მეტი ადამიანის ცხოვრება შეცვალა აქტივისტების საპატიმროებიდან გათავისუფლების, უფლებაშელახული ადამიანებისთვის სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის და ცვლილებებისთვის მებრძოლი ადამიანების დაცვის გზით.

წლევანდელი კამპანიაც მხარს უჭერს საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანებს მთელ მსოფლიოში. მათი უფლებები მხოლოდ იმიტომ დაირღვა, რომ საკუთარ საქმეს აკეთებდნენ ან თავიანთი უფლებებით სარგებლობდნენ. ჩვენ ერთად შეგვიძლია მოვითხოვოთ სამართლიანობა მათთვის. „წერილების მარათონის“ კამპანიის მეშვეობით ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მიიღებენ ათასობით სოლიდარობის წერილს, რომლებიც შეახსენებს მათ, რომ ისინი და მათი ბრძოლა არავის დავიწყებია. ხელისუფლებებისთვის წერილების გაგზავნით კი შეგვიძლია ზეწოლა მოვახდინოთ ძალაუფლებაში მყოფებზე, რათა ხელი შევუწყოთ უფრო სამართლიანი და თანასწორი მსოფლიოს მშენებლობას.

წლიდან წლამდე ის ადამიანები, რომელთა მხარდასაჭერადაც ეს კამპანია ტარდება, გვეუბნებიან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქმედებებს. ბევრის თქმით, მათ ძალას მატებს იმის ცოდნა, რომ უამრავი ადამიანი მათზე ზრუნავს და მათ მხარს უჭერს. თქვენს წერილებს ხშირად რეალური ცვლილებები მოაქვს: ბრალდებები უქმდება, ადამიანებს საპატიმროებიდან უშვებენ, ხოლო ხელისუფლებები ახალ კანონებს და პოლიტიკას იღებენ ადამიანის უფლებების დასაცავად.

> **„მთელი გულით ვამბობ, რომ ამ კამპანიამ სიცოცხლე შემინარჩუნა, ხელი შეუშალა მათ, მოვეკალი, რადგან იციან, რომ თქვენ აქ ხართ“**
>
> **ჯანი სილვა, გარემოს დამცველი, „წერილების მარათონი 2021“**

სანამ დაიწყებ

ეს **საგანმანათლებლო აქტივობა ადამიანის უფლებათა სფეროში** შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა გარემოში: ონლაინ ან ფიზიკურ სივრცეში, საკლასო ოთახებში, სათემო ჯგუფებში, ოჯახებში ან აქტივისტთა ქსელებში. როგორც ფასილიტატორმა, მოარგეთ აქტივობა თქვენი ჯგუფის კონტექსტს. მაგალითად, გაითვალისწინეთ განხილული საკითხების შესახებ ჯგუფში უკვე არსებული ცოდნის დონე, მონაწილეთა რაოდენობა და ასაკობრივი დიაპაზონი; დაფიქრდით, როგორ ჯობია აქტივობის ისე ორგანიზება, რომ ყველა იყოს ჩართული; როგორია აქტივობის ფიზიკური გარემო; პირისპირ ჩაატარებთ თუ ონლაინ; ასევე, რა შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს. თუ მონაწილეებს სურთ, იმოქმედონ საფრთხის ქვეშ მყოფი პირის მხარდასაჭერად, იმსჯელეთ, როგორ გაკეთდეს ეს უსაფრთხოდ.

აქტივობები დაფუძნებულია **მონაწილეობის პრინციპზე დამყარებულ სასწავლო მეთოდებზე**, რა დროსაც მონაწილეებისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება არ ხდება; ისინი თავად იკვლევენ, მსჯელობენ, აანალიზებენ და სვამენ კითხვებს ინდივიდებისა და ჯგუფების ისტორიებთან დაკავშირებით. ეს ეხმარება მონაწილეებს:

შეიძინონ ძირითადი კომპეტენციები და უნარები

ჩამოიყალიბონ საკუთარი მოსაზრებები, დასვან კითხვები და უფრო ღრმად გაიაზრონ განხილული საკითხები

აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთ სწავლაზე და ააგონ მსჯელობა თავიანთი ინტერესების, უნარებისა და პრობლემების ირგვლივ

ჩაერთონ ემოციურად, ჩამოიყალიბონ ღირებულებები და მათდამი ერთგულება.

© Amnesty International Thailand

მანაჰელ ალ-ოტეიბის მხარდასაჭერი პეტიციები და ღია ბარათები 2024 წლის „წერილების მარათონის“ დროს

იმ ადამიანების შესახებ, რომელთა დასაცავადაც ვიბრძვით, წაიკითხეთ აქ: amnesty.org/en/get-involved/write-for-rights/

დაუკავშირდით Amnesty-ის გუნდს თქვენს ქვეყანაში: amnesty.org/en/countries/

მისწერეთ თქვენი მხარდამჭერი ტვიტი @Amnesty-ს ჰეშტეგით #წერილებისმარათონი25 #W4R25

თუ თქვენ არ იცნობთ მონაწილეობის პრინციპზე დამყარებულ სასწავლო მეთოდებს, სანამ დაიწყებთ გაეცანით Amnesty International-ის „ფასილიტაციის სახელმძღვანელოს“: amnesty.org/en/documents/ACT35/020/2011/en/

Amnesty International გთავაზობთ უფასო საგანმანათლებლო ონლაინ კურსებს ადამიანის უფლებების შესახებ: academy.amnesty.org/learn და ტესტებს: https://share.google/XbBVTSryhr9UNR4rq

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

თქვენს სიტყვებს აქვს ძალა

უსაფრთხო გარემოში გადასახლება

2023 წელს, ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის გამო, როჰინჯა აქტივისტს მაუნგ სოიედოლას სერიოზული საფრთხე დაემუქრა ბანგლადეშში მდებარე ლტოლვილთა ბანაკში, სადაც ის ცხოვრობდა. 2024 წლის აგვისტოში მას ბანგლადეშიდან გასვლის უფლება და აშშ-ის უნივერსიტეტში სწავლისთვის სტუდენტური ვიზა მისცეს, რაც დიდი ალბათობით 2023 წლის „წერილების მარათონის“ მიერ შექმნილი ფართო ცნობადობის დამსახურებაა.

„კამპანიის მეშვეობით უდიდესი მოტივაცია, მხარდაჭერა, გამხნევება და სოლიდარობა მივიღე ინდივიდებისა და ჯგუფებისგან მთელი მსოფლიოდან. მსოფლიო საზოგადოების რეაქციამ იმედი ჩამისახა, რადგან სხვადასხვა გამოცდილების ადამიანები გაერთიანდნენ სამართლიანობისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლაში“

მაუნგ სოიედოლა

© Munir Uz Zaman/AFP via Getty Images

სიკვდილით დასჯას გადარჩენილი

როკი მაიერსმა, ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე შავკანიანმა მამაკაცმა, სამი ათეული წელი ალაბამაში (აშშ) სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა მკვლელობის ბრალდებით. როკი დამნაშავედ ცნეს ისეთ ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც ერთმანეთთან წინააღმდეგობაში იყო. მას მოსამართლემ სიკვდილით დასჯის განაჩენი ნაფიც მსაჯულთა ნების წინააღმდეგ გამოუტანა. ეს პრაქტიკა ალაბამაში 2017 წლიდან გაუქმებულია. როკის საქმე 2023 წლის „წერილების მარათონის“ ფარგლებში მოხვდა, რის შედეგადაც დიდი გლობალური კამპანია დაიწყო, რომლითაც ალაბამის გუბერნატორს მისი შეწყალებისა და სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცვლისკენ მოუწოდებდნენ. 2025 წლის თებერვალში განაჩენი შეიცვალა. როკის ბრძოლა სამართლიანობისთვის ჯერ არ დასრულებულა - ის ისევ ციხეშია უვადო თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის გადასინჯვის შესაძლებლობის გარეშე, თუმცა სიკვდილით დასჯა მას აღარ ემუქრება.

© Private

„ამ კამპანიამ მხოლოდ მისი საქმის მიმართ კი არ გაზარდა ყურადღება, არამედ ის ისე იქნა ჩატარებული, რომ პატივისცემა გააჩინა როკის როგორც ადამიანის, მამისა და ბაბუის მიმართ. ვიცი, რომ ეს უზარმაზარი მხარდაჭერა როკისთვის უსაზღვროდ მნიშვნელოვანი იყო; იმის ცოდნა, რომ ამდენმა ადამიანმა იგრძნო მოქმედების აუცილებლობა, ნამდვილად შთამაგონებელია“

მირიამ ბენქსტონი, როკი მაიერსის იურიდიული ჯგუფის წევრი

ციხიდან გათავისუფლებული

2020 წლის სექტემბერში დორჟელეს ნგესანი მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობის გამო დააკავეს კამერუნში. მოგვიანებით მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მისი ისტორია 2022 წლის „წერილების მარათონის“ ფარგლებში გაშუქდა. 2025 წლის იანვარში დორჟელესი გაათავისუფლეს და ის ოჯახს დაუბრუნდა.

„თქვენ დაგვიკავშირდით მაშინ, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა. ჩემი შვილი იყო ავად, დედაჩემი იყო ავად. ჩემმა ციხეში ყოფნამ დედაჩემზე ძალიან უარყოფითად იმოქმედა და ის ძალიან დასუსტდა. ამ კამპანიამ ძალა მისცა მას. მან ჩვენ ყველა გაგვამხნევა. არ ვიცი, როგორ გადავუხადო Amnesty-ს მადლობა“

დორჟელეს ნგესანი

© Private

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

ადამიანის უფლებების შესახებ

ადამიანის უფლებები ის თავისუფლებები და დაცულობაა, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნის. ისინი ემყარება ღირსების, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს განურჩევლად ასაკისა, ეროვნებისა, სქესისა, რასისა, რწმენისა და პირადი ორიენტაციებისა.

თქვენი უფლებები გულისხმობს თქვენ მიმართ სამართლიან მოპყრობას, თქვენ მიერ სხვების მიმართ სამართლიან მოპყრობას და შესაძლებლობას, მიიღოთ გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებები უნივერსალურია - ისინი ეკუთვნის ყველას და ყველგან. ისინი ხელშეუვალია - არავის არ შეუძლია მათი წართმევა. ისინი განუყოფელი და ურთიერთდაკავშირებულია - თითოეული უფლება თანაბრად მნიშვნელოვანია და ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი სისასტიკეების შემდეგ ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტებით, დაწყებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით,“ ძლიერი ჩარჩო შეიქმნა ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო კანონმდებლობისთვის, რომლის მიზანიც ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაა მთელ მსოფლიოში. ადამიანის უფლებები კანონებს წარმოადგენს მთავრობებისთვის. ადამიანის უფლებები არც შერჩევითი პრივილეგიაა და არც ფუფუნება, რომლებიც ადამიანს შეიძლება მხოლოდ მაშინ მიენიჭოს, როდესაც ეს მოსახერხებელია. ისინი მთავრობებსა და საჯარო მოხელეებს უწესებენ აუცილებლად შესასრულებელ ვალდებულებებს, პატივი სცენ, დაიცვან და უზრუნველყონ ყველა ადამიანის უფლებები, როგორც მათ ქვეყნებში, ისე მათ ფარგლებს გარეთ.

© UN Photo

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (UDHR)

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ შეიმუშავა ახლად დაარსებულმა გაერო-მ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში. 1948 წლის 10 დეკემბერს მისი მიღების შემდეგ, ეს დოკუმენტი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სისტემის საყრდენად იქცა. მსოფლიოს ყველა ქვეყანაა თანახმა, დაიცვას ის ზოგადი პრინციპები, რომლებიც ამ დოკუმენტის 30 მუხლშია გაწერილი.

სახელწოდებიდან გამომდინარე, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობების განზრახვის დეკლარაციას, დაიცვან გარკვეული სტანდარტები ადამიანების მიმართ მოპყრობისას. ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართლის ნაწილი გახდა: UDHR-ის პრინციპების საფუძველზე ბევრი კანონი და სავალდებულო შეთანხმება შემუშავდა. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა Amnesty International, ამ კანონებისა და შეთანხმებების საფუძველზე მოითხოვენ მთავრობებისგან, შეწყდეს ის დარღვევები, რასაც ჩვენი „წერილების მარათონის“ კამპანიაში წარმოდგენილი ადამიანები განიცდიან.

© Amnesty International Togo

Amnesty-ის აქტივისტები ტოგოში 2024 წლის „წერილების მარათონის“ დროს.

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები სიცოცხლის უფლება, წამებისა და მონობის დაუშვებლობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა	**მუხლი 1**	თავისუფლება და თანასწორობა ღირსებითა და უფლებებით
	მუხლი 2	დისკრიმინაციის დაუშვებლობა
	მუხლი 3	სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება
	მუხლი 4	მონობის დაუშვებლობა
	მუხლი 5	წამების დაუშვებლობა
იურიდიული უფლებები უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, თვითნებურად დაპატიმრების ან დაჭერის დაუშვებლობა	**მუხლი 6**	ყველას დაცულობა კანონი მიერ
	მუხლი 7	ყველას თანასწორობა კანონის წინაშე
	მუხლი 8	სამართლებრივი დაცვის საშუალება უფლებების დარღვევის შემთხვევაში
	მუხლი 9	თვითნებურად დაპატიმრების, დაჭერის ან გაძევების დაუშვებლობა
	მუხლი 10	სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება
	მუხლი 11	უდანაშაულოდ მიჩნევა დამნაშავეობის დადგენამდე
	მუხლი 14	სხვა ქვეყანაში წასვლის და დაცვის მოთხოვნის უფლება
სოციალური უფლებები განათლების, ოჯახის შექმნის და ყოლის, დასვენების, ჯანმრთელობის უფლებები	**მუხლი 12**	პირადი სივრცის, საცხოვრებლის და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება
	მუხლი 13	ცხოვრების და სახელმწიფოს ფარგლებში გადაადგილების თავისუფლება
	მუხლი 16	დაქორწინების და ოჯახის დაფუძნების უფლება
	მუხლი 24	დასვენების და თავისუფალი დროის გამოყენების უფლება
	მუხლი 26	განათლების, მათ შორის უფასო დაწყებითი განათლების უფლება
ეკონომიკური უფლებები ქონების ფლობის, შრომის, საცხოვრებლის, პენსიის, ცხოვრების ადეკვატური დონის ქონის უფლებები	**მუხლი 15**	მოქალაქეობის უფლება
	მუხლი 17	ქონების ფლობის უფლება
	მუხლი 22	სოციალური დაცვის უფლება
	მუხლი 23	სამართლიანი გასამჯელოსთვის შრომის და პროფესიულ კავშირებში შესვლის უფლებები
	მუხლი 25	ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შენარჩუნებისთვის ადეკვატური ცხოვრების დონის ქონის უფლება
პოლიტიკური უფლებები ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის, ხმის მიცემის, მშვიდობიანი შეკრების უფლებები, აზრის გამოხატვის, რწმენის და რელიგიის თავისუფლება	**მუხლი 18**	რწმენის (მათ შორის რელიგიური რწმენის) თავისუფლება
	მუხლი 19	აზრის გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის გავრცელების უფლება
	მუხლი 20	ასოციაციებში გაწევრიანების თავისუფლება და მშვიდობიანი შეკრების უფლება
	მუხლი 21	საკუთარი ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება
კულტურული უფლებები, სოლიდარობის უფლებები საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება	**მუხლი 27**	საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება
	მუხლი 28	ისეთი საერთაშორისო წესრიგის უფლება, სადაც შესაძლებელია ყველა ამ უფლების სრულად განხორციელება
	მუხლი 29	სხვა ადამიანების უფლებების პატივისცემის ვალდებულება
	მუხლი 30	ამ უფლებათაგან რომელიმეს წართმევის დაუშვებლობა!

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

აქტივობა

გამოხატვის თავისუფლება

ძირითადი ცნებები

- გამოხატვის თავისუფლება
- პროტესტის უფლება
- სამოქალაქო სივრცის შემცირება
- ადამიანის უფლებების დამცველები
- რეპრესია და თვითნებური დაკავება

აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა იკვლევს, თუ როგორ იზღუდება გამოხატვის თავისუფლება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სამი ადამიანის ისტორიის მაგალითზე. ამ ადამიანებს ჟურნალისტური საქმიანობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვისთვის სჯიან. სამივე მათგანი სისხლისსამართლებრივად იდევნება, დაპატიმრებულია და სასტიკ მოპყრობას განიცდის საკუთარი რწმენისა და პრინციპების ერთგულების გამო. ეს კი სამოქალაქო სივრცის შემცირების და გამოხატვის თავისუფლების დასათრგუნად ავტორიტარული პრაქტიკის გაძლიერების გლობალურ ტენდენციაზე მიუთითებს.

ასაკი: 14+

აქტივობისთვის საჭირო დრო

60 წუთი პლუს დამატებითი დრო ნაწილისთვის „იმოქმედე.“

სწავლის შედეგები

მონაწილეები:

- **გაეცნობიან** გამოხატვის თავისუფლების ცნებას და გაიაზრებენ მის მნიშვნელობას.
- **განსაზღვრავენ**, რა მეთოდებით ექმნება საფრთხე გამოხატვის თავისუფლებას მსოფლიოში.
- **განმარტავენ** საფრთხეებს, რაც ინდივიდებს ემუქრება სიმართლის თქმის ან უსამართლობის მხილების გამო, მაგალითად, დევნა და დაპატიმრება.
- **გამოხატავენ** თანაგრძნობას და სოლიდარობას ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ მათი ისტორიების გაანალიზების და მნიშვნელოვან ქმედებებში მონაწილეობის გზით.

მასალები

- დასარიგებელი: ბარათები ისტორიებით და ბარათები ქმედების მოწოდებით
- „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (UDHR) გამარტივებული ვერსია
- ზოგადი ინფორმაცია: გამოხატვის თავისუფლების უფლება
- ფურცლები, კალმები და კონვერტები (წერილების გაგზავნის შემთხვევაში)
- არასავალდებულო: ვიდეოები ვებგვერდიდან amnesty.org/en/w4r-videos
- არასავალდებულო: წერილების შაბლონები ვებგვერდიდან amnesty.org/en/get-involved/write-for-rights/

მომზადება

- წაიკითხეთ ბარათები ისტორიებით და აირჩიეთ რომელ ისტორიებზე იმუშავებთ.
- ამობეჭდეთ დასარიგებელი მასალა თითოეული მონაწილისთვის/ჯგუფისთვის.
- წაიკითხეთ ზოგადი ინფორმაცია.
- თქვენი ჯგუფის ზომის, ცოდნის დონისა და სასწავლო საჭიროებების მიხედვით შეგიძლიათ განსაზღვროთ, რა დრო დასჭირდება აქტივობის თითოეულ ნაწილს ანდა გადააკეთოთ ცალკეული ინსტრუქციები. ყურადღებით დაგეგმეთ გამოყოფილი დრო.

1. მოთელვა: უხმაურო შესწორება

15 წუთი

მზად გქონდეთ ერთი ან ორი საგანი, რომლის წარდგენასაც აპირებთ. ეს შეიძლება იყოს ფოტოები ან ფიზიკური საგნები. მოიქეცით როგორც ავტორიტეტი და უთხარით მონაწილეებს:

> მე ექსპერტი ვარ ბევრ საკითხში. დღეს აქ მოვედი იმისთვის, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება გაგიზიაროთ. ამისათვის თქვენგან მაქსიმალური ყურადღება და მხარდაჭერა მჭირდება. ამრიგად, ჩემი პრეზენტაციის დროს თქვენ სრული სიჩუმე უნდა შეინარჩუნოთ. არ წარმოთქვათ ერთი სიტყვაც კი; არ გამოხატოთ არანაირი რეაქცია. რაც არ უნდა ვთქვა, არ ირეაგიროთ ჩემ მიერ გამოთქმულ მტკიცებებზე მანამ, სანამ არ გეტყვით, რომ შეგიძლიათ ილაპარაკოთ და ამოძრავდეთ.

შენიშვნა ფასილიტატორებისთვის: გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა მონაწილის ჩართულობა.

როდესაც ჯგუფი მზად იქნება, რიგრიგობით აჩვენეთ თითოეული საგანი ან ფოტო. თითოეულთან დაკავშირებით წარმოთქვით აშკარად მცდარი ან დამახინჯებული ფაქტები. მიეცით მონაწილეებს საკმარისი დრო, რომ დაძაბულობა იგრძნონ, გაპროტესტება მოუნდეთ და ემოციურად განიცადონ სიტუაცია. არ იჩქაროთ: აცადეთ, მოიმატოს დისკომფორტის განცდამ, რათა სავარჯიშომ სასურველი ზეგავლენა

მოახდინოს. მთელი პრეზენტაციის დროს შეინარჩუნეთ სახის სერიოზული გამომეტყველება.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან შეგიძლიათ აირჩიოთ რომელიმე ან გამოიყენოთ ისინი ახალი იდეისთვის:

- **წიგნი:** წიგნები 1950 წელს გამოიგონეს. თავდაპირველად მათ კარის საბჯენებად ან სახლის ასაშენებელ აგურებად იყენებდნენ. 1970 წლამდე ხალხი ვერ ხვდებოდა, რომ ფურცლებზე სიტყვების დაწერა შეეძლო. თუმცა ახლა, ინტერნეტის ეპოქაში, წიგნები არანაირ ფასეულობას აღარ წარმოადგენს. ისინი მოძველდა და მათში მოცემული არცერთი იდეა აღარ არის რელევანტური.
- **დამცავი აღჭურვილობით ეკიპირებული პოლიციელების ფოტო:** ესენი მებაღეები არიან. მათ ჩაფხუტები ახურავთ, რომ თავი ფოთლების ცვენისგან დაიცვან, რადგან ჩამოცვენილი ფოთლები ხშირად თავის მძიმე ტრავმას იწვევს. ეს საგნები, ფარებს რომ ჰგავს, ნიჩბებია, სწრაფად თხრა რომ შეძლონ. ისინი დადიან ქალაქში, პოულობენ ბაღსა თუ მიწის ნაკვეთს, რომელიც მოვლას საჭიროებს და უსასყიდლოდ, კეთილშობილური განზრახვით უვლიან. კარგი მებაღეები მხოლოდ კაცები არიან. ქალები, ზოგადად, ძალიან სუსტები არიან და გარეთ დიდხანს ყოფნა არ შეუძლიათ, რადგან უზიანდებათ ფილტვები და ალერგია აქვთ მზეზე.
- **კატის ფოტო:** ეს ძაღლია. ძაღლებს სძულთ წყალი, რადგან ცურვა არ იციან. წვიმის დროს ძაღლი თუ გარეთაა, ის დნება. არსებულ ცხოველებს შორის ძაღლი ყველაზე არამეგობრული ცხოველია. ის ბრაზიანია და პატარა ბუდეს იშენებს ხეზე, რომელზეც ცხოვრობს. გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, ძაღლები არ კნავიან. ისინი ჩუმად ილანძღებიან უძველეს ენებზე, რომლებიც ხალხს არ ესმის.
- **წყლის ბოთლი:** ეს წვიმის გადასატანი მუზეუმია. თითოეული ბოთლი სავსეა ღრუბლების ბრაზიანი ცრემლებით, რომლებსაც ახსოვთ, გუშინ სადილად რა მიირთვეს. წყლის დალევა არ არის უსაფრთხო. ადრე ხალხი სვამდა წყალს, მაგრამ დღეში არაუმეტეს 5 მილილიტრისა, რადგან ის ძალიან ტოქსიკურია. და ეს ხდებოდა მანამ, სანამ აღმოვაჩინეთ, რომ წყალი, სინამდვილეში, მოჩვენებების ოფლია. ამ ბოთლს თავსახური იმისთვისა აქვს, რომ მოჩვენებები არ გაიპარონ კარაოკეს სამღერად. ბავშვებისთვის ბევრად უკეთესია, დალიონ ყავა, გამდნარი ნაყინი ან, კიდევ უკეთესი, დეზოდორანტი.

საი ზო თაიკი, მიანმარის დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციის „მიანმარი ახლა“ ფოტოგრაფი, დავალების შესრულების დროს მიანმარში. (იხილეთ გვ. 17.)
© Myat Gyi

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გააკეთეთ მცირე პაუზა, რომ მონაწილეთა რეაქციებს დააკვირდეთ. თუ გსურთ, მადლობა გადაუხადეთ მოსმენისთვის და უთხარით, რომ ახლა ტაში შეუძლიათ დაგიკრან.

შემდეგ გამოაცხადეთ, რომ სავარჯიშო დასრულდა და შესთავაზეთ მონაწილეებს, შეისვენონ, ცოტა ამოძრავდნენ და გამოცოცხლდნენ. ჰკითხეთ, რა ემოციები გაუჩინა მათ ამ სავარჯიშომ. პირველი პასუხების მოსმენის შემდეგ გააგრძელეთ განხილვა შემდეგი კითხვების დასმით:

- **იკავებდით თავს რაიმე რეაქციის გამოხატვისგან? გინდოდათ გაპროტესტება?**
- **რატომ არ გამოხატეთ, როდესაც იცოდით, რომ მტკიცებები სულელური იყო?**
- **როგორ რეაგირებდა თქვენი სხეული დანახულსა და მოსმენილს შორის შეუსაბამობაზე? რა ემოციები გაგიჩნდათ? დაბნეულობა, იმედგაცრუება, კომიკურობა, დაძაბულობა?**
- **შეგეცვალათ ჩემდამი ნდობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ავტორიტეტი და ამ საკითხის ექსპერტი ვსაუბრობდი?**

თუ დრო რჩება, შეგიძლიათ გადახვიდეთ დეზინფორმაციის და საზოგადოებაზე წნეხის უფრო ზოგად განხილვაზე.

- **რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გქონდეთ გაპროტესტების შესაძლებლობა, როდესაც რაღაც არასწორი ხდება?**
- **თქვენი აზრით, რა ხდება, როდესაც ხალხს არ აძლევენ უფლებას, დაეჭვდეს იმის სისწორეში, რასაც ეუბნებიან?**
- **როგორ პოულობს ხალხი საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის გზებს, როდესაც მას აიძულებენ გაჩუმდეს ან არ აძლევენ გაპროტესტების საშუალებას?**

დაასრულეთ შემდეგი განმარტებით:

„ამ სავარჯიშოს ფარგლებში თქვენ რამდენიმე წუთით განიცადეთ, თუ როგორია, როცა გაჩუმებას გაიძულებენ ანდა არ გაძლევენ შესაძლებლობას, გააპროტესტო ის, რაც აშკარა სიცრუეა. ეს მხოლოდ როლური თამაში იყო. თუმცა რეალურ ცხოვრებაში ბევრი ადამიანია ისეთ სიტუაციაში, როდესაც უკანონობის მხილება მათ საფრთხეს უქმნის. ძალაუფლების მქონე ადამიანებს შეუძლიათ, გაავრცელონ დეზინფორმაცია, დაბლოკონ წვდომა ფაქტებთან ან დასაჯონ ისინი, ვისაც ეჭვი შეაქვს მათში ან ეწინააღმდეგება მათ. მთავრობის, პოლიციის, კორპორაციების თუ სხვა გავლენიანი სტრუქტურების გაკრიტიკება არ არის ყოველთვის უსაფრთხო. ეს რომ უკეთ გავიაზროთ, მოდით განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი უფლება, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანების უსაფრთხოება, როდესაც ისინი ძალაუფლების მქონეთა ქმედებებს აკრიტიკებენ ანდა თავიანთ მოსაზრებებს გამოხატავენ.“

ტუნისის დედაქალაქის ხედი, სადაც ტუნისელი ადვოკატი და მედიაკომენტატორი სონია დამანი მუშაობდა. (იხილეთ გვ. 18.)
© Pexels

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

2. ადამიანის უფლებები - ურთიერთდაკავშირებული

20 წუთი

განმარტეთ, რომ ეს აქტივობა სამი რაუნდისგან შედგება. თითოეულ რაუნდში თქვენ წაიკითხავთ სიტუაციას, რომელშიც ადამიანის უფლების დარღვევაა აღწერილი და ორ უფლებას ვარიანტებად დაუსახელებთ. მონაწილეებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელი უფლება შეესაბამება ყველაზე მეტად მოცემულ სიტუაციას ან რომელს ემუქრება ყველაზე მეტი საფრთხე.

სთხოვეთ მონაწილეებს, გამოხატონ თავიანთი არჩევანი ამ ორიდან ერთ-ერთი ფორმით: დადგნენ ოთახის იმ ნაწილში, რომელსაც A ან B ვარიანტისთვის განსაზღვრავთ ანდა დარჩნენ ადგილზე და ხელი აიწიონ მაშინ, როდესაც მათ მიერ არჩეულ ვარიანტს დაასახელებთ. აირჩიეთ ის მეთოდი, რომელიც ყველაზე შესაფერისია თქვენი ჯგუფის სასწავლო საჭიროებების, მობილობისა და გარემოსთვის.

რჩევა ფასილიტატორებისთვის: ამ სავარჯიშოს მიზანი არ არის „სწორი“ ან „არასწორი“ პასუხის მიღება. სინამდვილეში, მოცემული სიტუაციები ერთზე მეტ ურთიერთდაკავშირებულ უფლებას მოიცავს. უბიძგეთ მონაწილეებს, დაფიქრდნენ, რატომ აირჩიეს ესა თუ ის პასუხი და დაეხმარეთ მათ გაიაზრონ, როგორი კვეთა და ურთიერთდამოკიდებულებაა ამ უფლებებს შორის. შეინარჩუნეთ ღია, ძიებისკენ ბიძგების ტონი და არა ვიქტორინის ტონი. შეგიძლიათ გამოიყენოთ ზოგადი ინფორმაცია სავარჯიშოს წარმართვის ან ზოგიერთი ცნების უფრო დეტალური ახსნისთვის.

> თუ მონაწილეები პირველად ეცნობიან „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას,“ ძალისხმევა, პირველ რიგში, მიმართეთ იმისკენ, რომ გაიგონ, რას წარმოადგენს ის; ამისათვის გამოიყენეთ ინფორმაცია, რომელიც მე-4 გვერდიდან არის მოცემული.

სიტუაცია 1:

სტუდენტების ერთმა ჯგუფმა ინტერნეტში ვიდეოები გამოაქვეყნა, რომლებშიც მთავრობა კორუფციის გამო გააკრიტიკა. მეორე დღეს პოლიციამ მათ მიერ დაგეგმილი მშვიდობიანი მარში მის დაწყებამდე გააჩერა და რამდენიმე სტუდენტი დააპატიმრა. ეს უფრო ეხება:

A. გამოხატვის თავისუფლებას, თუ

B. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებას?

შეჯამება: გამოხატვის თავისუფლება (A) იცავს სტუდენტების უფლებას, გააზიარონ საკუთარი მოსაზრებები ონლაინ, ხოლო მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (B) იცავს მათ უფლებას, მშვიდობიანად შეიკრიბონ საჯარო ადგილებში. როდესაც ადამიანები საჯაროდ იკრიბებიან თავიანთი შეხედულებების გამოსახატავად, ორივე უფლება ერთდროულად მოქმედებს. აქ გამოხატვის თავისუფლება ერთიანდება მშვიდობიანი შეკრების უფლებასთან, რაც გვაძლევს გაპროტესტების უფლებას. ეს უფლებები ურთიერთდაკავშირებულია. ერთი უფლების დარღვევა ხშირად ასუსტებს მეორე უფლებას.

სიტუაცია 2:

ადვოკატი, რომელიც უსამართლობას გმობს, ღამით სახლიდან წაიყვანეს და თვეობით ციხეში ჰყავთ გამოკეტილი. მას არ აძლევენ უფლებას, შეხვდეს მოსამართლეს და არ ეუბნებიან, რაში სდებენ ბრალს. ეს უფრო მეტად ეხება:

A. საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, თუ

B. უკანონო დაპატიმრებისგან დაცვას?

შეჯამება: ადამიანის გამოკეტვას მიზეზის განმარტების ანდა მოსამართლის წინაშე წარდგენის გარეშე თვითნებური დაკავება ეწოდება (B). ამით ადამიანის თავისუფლების უფლება ირღვევა. ზოგჯერ ადამიანს ათავისუფლებენ ბრალის ოფიციალურად წარდგენის გარეშე. ასეთ დროს სასამართლო განხილვა არ არის საჭირო. თუმცა ბრალის წარდგენის შემთხვევაში, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (A) აუცილებელია. ეს უფლება უზრუნველყოფს, რომ ადამიანმა იცოდეს, რაში ადანაშაულებენ, შეეძლოს თავის დაცვა და გასამართლდეს სამართლიანად. საქმის სამართლიანი განხილვის უფლების გარეშე უკანონო დაკავებების ალბათობა იზრდება. ეს ორი უფლება ურთიერთდაკავშირებულია და ხელს უწყობს ადამიანების დაცვას ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან.

ზემოთ მარჯვნივ: პროტესტი მიანმარის ქალაქ იანგონში, რომელიც საი ზო თაიკიმ გააშუქა.
© AAMIJ

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

სიტუაცია 3:

ჟურნალისტი დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც მან პოლიციაში არსებული პრობლემები გააშუქა. ციხეში მას პატარა, ჭუჭყიან, ვირთხებით სავსე საკანში ამყოფებენ. მას არ აძლევენ საჭირო მედიკამენტებს, ციხის ზედამხედველები კი ყოველ დღე შეურაცხყოფას აყენებენ. ეს უფრო მეტად ეხება:

A. წამების და სხვა არაადამიანური მოპყრობისგან დაცვას, თუ

B. ჯანმრთელობის უფლებას?

შეჯამება: ადამიანისთვის მედიკამენტის არმიცემა და მისი ბინძურ, სახიფათო პირობებში დატოვება ჯანმრთელობის უფლების დარღვევაა (B). ყოველ დღე შეურაცხყოფის ატანა და ასეთ პირობებში ყოფნა შეიძლება წამებას და არაადამიანურ მოპყრობას გაუთანაბრდეს (A). როდესაც ხელისუფლება შეგნებულად აყენებს ადამიანს მძიმე ფიზიკურ ან მენტალურ ტკივილს ან ტანჯვას, მაგალითად, მისი დასჯის, დაშინების, დისკრიმინაციის ან ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ეს წამებას უთანაბრდება (A). ეს უფლებები ურთიერთდაკავშირებულია და მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადამიანები უსაფრთხო პირობებში იყვნენ მოთავსებულნი და მათ ღირსებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

საბოლოო გაანალიზებისთვის, დაუსვით მონაწილეებს კითხვები:

- **რთული იყო ორი უფლებიდან ერთის არჩევა? თქვენი აზრით, რატომ?**
- **როგორ შეიძლება ერთი უფლების დაცვამ სხვა უფლებების დარღვევა აგვაცილოს?**

აუხსენით მონაწილეებს ადამიანის ყველა უფლების ურთიერთკავშირის იდეა: ერთ-ერთის შელახვა ადვილად იწვევს სხვა უფლებების დარღვევას. სწორედ ამიტომ, მთავრობებმა ყველა უფლება ერთობლივად უნდა დაიცვან.

გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ სამივე სხვადასხვა სცენარი გამოხატვის თავისუფლების უფლებას უკავშირდებოდა. ეს ნაწილი ამ უფლების უფრო დეტალური განმარტებით დაასრულეთ, რათა მონაწილეები აქტივობის მომდევნო ნაწილისთვის შეამზადოთ:

> „ჩვენ ყველას გვაქვს უფლება, გამოვხატოთ საკუთარი აზრი, გავაკრიტიკოთ ძალაუფლების მქონე პირები და გავავრცელოთ ინფორმაცია. ამას გამოხატვის თავისუფლება ეწოდება. ის დაცულია საერთაშორისო სამართლით, მაგალითად, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-19 მუხლით. ეს ნიშნავს შესაძლებლობას, ვილაპარაკოთ ღიად, გავაკრიტიკოთ ძალაუფლება, გავავრცელოთ ინფორმაცია და ვეძებოთ სამართლიანობა შურისძიების შიშის გარეშე. თუმცა მსოფლიოს ბევრ ნაწილში ეს უფლებები არ არის სრულად დაცული. და მაინც, რისკების მიუხედავად, ადამიანებს - ჟურნალისტები იქნებიან ისინი, უფლებადამცველები, ხელოვანები, სტუდენტები თუ რიგითი მოქალაქეები, რომლებიც აქვეყნებენ ინფორმაციას ინტერნეტში - ჰყოფნით გამბედაობა, გამოხატონ თავიანთი აზრი.“

ქვემოთ მარცხნივ: საი ზო თაიკის მიერ გაშუქებული პროტესტი იანგონში, მიანმარი.
© Myanmar Now

ქვემოთ მარჯვნივ: სონია დამანი.
© Private

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

3. გამბედაობის ისტორიები: გამოხატვის თავისუფლების შესწავლა

25 წუთი

წაიკითხეთ ხმამაღლა:

> „ჩვენ ვნახეთ, რამდენად რთულია ერთი უფლების გამოყოფა მეორისგან და როგორ იწვევს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სხვა უფლებების შელახვას. დღეს გავეცნობით სამი ადამიანის ისტორიას. ამ ადამიანებმა თავიანთი ხმა სხვების დასაცავად და მავნე პრაქტიკების გამოსააშკარავებლად გამოიყენეს, რისთვისაც მძიმე ფასი გადაიხადეს. როცა მათ ისტორიებს წაიკითხავთ, სცადეთ წარმოიდგინოთ, რას იგრძნობდით, მათ ადგილზე რომ ყოფილიყავით?“

დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად ან წყვილებად. თითოეულ ჯგუფს მიეცით ერთი ბარათი ისტორიით, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ გამარტივებული ვერსია (გვერდი 5) და კალმები და ფურცლები. სთხოვეთ, ერთად წაიკითხონ ისტორია და განიხილონ შემდეგი კითხვები:

- **რის თქმას ან გაკეთებას ცდილობდა ეს ადამიანი?**
- **რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებამ დასაჯა იგი?**
- **ჩაიხედეთ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში.“ შეგიძლიათ იპოვოთ ორი ან სამი უფლება, რომლებიც ამ ადამიანს წაერთვა?**

შემდეგ თითოეულ ჯგუფს უთხარით:

> „წარმოიდგინეთ, რომ ხართ სონია/საი ზო/ნარგიზი. რას ისურვებდით, რომ მსოფლიოს შეეტყო? თქვენი აზრით, რომელ უფლებებს ართმევენ მათ? რის გაკეთებას სთხოვდით მთავრობებს ან რიგით ადამიანებს? ამ ადამიანის პერსპექტივიდან დაწერეთ მოკლე მიმართვა სოციალური მედიის ან სხვა საჯარო პლატფორმისთვის, რომლითაც ხალხს მხარდაჭერას სთხოვთ.“

დაახლოებით 15 წუთის შემდეგ, ისევ შეკრიბეთ მონაწილეები. სთხოვეთ, რომ თითოეული ჯგუფიდან მოხალისემ მოკლედ წარადგინოს ამბის გმირი და წაიკითხოს ჯგუფის მიერ დაწერილი მიმართვა.

ადამიანების ისტორიების გაცნობის შემდეგ საბოლოო გაანალიზებისთვის დასვით შემდეგი კითხვები:

- **რა ემართება საზოგადოებას, როცა ასეთ ხმებს აჩუმებენ?**
- **როგორ უკავშირდება ეს ადამიანის უფლებებს მთელ მსოფლიოში?**
- **რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ, როგორც ინდივიდებმა ან საზოგადოებამ, როცა ასეთ უსამართლობას ვხედავთ?**

დასასრულს უთხარით, რომ ეს ისტორიები გვიჩვენებს, თუ რამდენად საზიანოა, როცა ადამიანები საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის გამო ისჯებიან. ეს ისტორიები იმასაც შეგვახსენებს, რატომ არის იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა ფასეული არა მხოლოდ ინდივიდისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. მთავრობებს აქვთ ვალდებულება, დაიცვან ეს უფლებები მაშინაც კი, როცა გამოთქმული აზრები კრიტიკული ან უსიამოვნოა. როგორც ვნახეთ, როცა მთავრობები ამას არ აკეთებენ, ადამიანებს თავიანთი აზრის საჯაროდ გამოთქმა შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეთ.

ზემოდან საათის ისრის მიმართულებით:
საი ზო თაიკი, სონია დამანი და ნარგიზ აბსალამოვა.

© Kon Blai,© Temirov LIVE, © Private, @AbzasMedia

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

4. იმოქმედე

15 წუთი

უამბეთ მონაწილეებს Amnesty International-ის კამპანიის „წერილების მარათონი“ შესახებ და აუხსენით, რომ Amnesty მოუწოდებს ხალხს, მისწერონ წერილები ამ ისტორიებში მოთხრობილ ადამიანებს, ასევე ოფიციალურ სტრუქტურებს, რომლებსაც ამ ადამიანების უფლებების დაცვა, პატივისცემა და აღსრულება ევალებათ. აუხსენით, რომ წლევანდელი კამპანია იმ ადამიანებს ეხება, რომელთა შესახებაც ისტორიების ბარათებშია მოთხრობილი. შეგიძლიათ მოიყვანოთ წინა წლების კამპანიების მაგალითები (გვ. 3), საიდანაც ჩანს, რამდენად წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს წერილების მიწერა და სხვა ქმედებები, ანდა აჩვენოთ ეს ერთწუთიანი ვიდეო მოსის აკატუგბას შესახებ, რომელიც სიკვდილით დასჯას „წერილების მარათონის“ კამპანიის წყალობით გადაურჩა: https://youtu.be/8cU6EPY5r_c

თუ არ რჩება საკმარისი დრო, რომ მონაწილეებმა იმოქმედონ, ურჩიეთ მათ, ეს მეცადინეობის შემდეგ გააკეთონ ანდა გაანაწილეთ ქმედებები ჯგუფებს შორის. უბიძგეთ მათ, გამოიჩინონ შემოქმედებითი მიდგომა.

არასავალდებულო: აჩვენეთ მონაწილეებს ვიდეოები სონიას და საი ზოს შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია აქ: amnesty.org/en/w4r-videos (ინგლისურ ენაზე) ასევე, ნარგიზის შესახებ, რომელიც შეგიძლიათ ნახოთ აქ: Amnesty International EECA - YouTube

დაწერე წერილი

სთხოვეთ მონაწილეებს, აირჩიონ ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელთა საქმეებსაც გაეცნენ და მიეცით ამ ადამიანისთვის ბარათი ქმედების მოწოდებით 16-18 გვერდებიდან. უთხარით მონაწილეებს, რომ მათი წერილები გაიგზავნება იმ ოფიციალურ სტრუქტურებში, რომლებსაც ევალებათ ამ ადამიანის უფლებების დაცვა.

დაურიგეთ ყველას წერილის დასაწერად საჭირო მასალები და გამოუყავით საკმარისი დრო წერილების დასაწერად. აუხსენით, რომ ოფიციალური პირებისადმი პირად მიმართვას ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. სთხოვეთ მათ:

- **დაწერონ რამე თავიანთ თავზე.**
- **უთხრან ოფიციალურ პირს, რამ შეძრა ისინი ამ ინდივიდის ისტორიიდან.**
- **თქვან, რატომ მიაჩნიათ მნიშვნელოვანი მთავრობების მიერ ადამიანის უფლებების დაცვა.**

თუ მონაწილეებს დასრულებული წერილების ჯგუფისთვის გაცნობა ან ემოციების გამოხატვა სურთ, მიეცით მათ ამის შესაძლებლობა.

გამოხატე სოლიდარობა

თუ დრო გრჩებათ, შეგიძლიათ სოლიდარობის აქტივობებიც შეასრულოთ, რომლებიც ქმედების მოწოდებით ბარათებზეა მითითებული. სოლიდარობის წერილები ხშირად მხარდაჭერისა და გამხნევების მნიშვნელოვანი წყაროა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ ისტორიებში არიან წარმოდგენილნი.

გაუგზავნეთ მეგობრული და იმედისმომცემი გზავნილები და გაამხნევეთ სონია, საი ზო და ნარგიზი განაგრძონ თავიანთი ბრძოლა სამართლიანობისთვის და იგრძნონ, რომ მარტო არ არიან. გამოიჩინეთ შემოქმედებითი მიდგომა და მოუყევით მათ ცოტა რამ თქვენ შესახებ, რათა წერილი უფრო პირადული გახდეს.

ნარგიზს უყვარს პოეზია; შესაბამისად, კარგი იქნება, თუ თქვენს საყვარელ ლექსს გაუზიარებთ. ის აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზე საუბრობს.

გაიგეთ მეტი „წერილების მარათონის“ კამპანიის სხვა აქტივობების შესახებ აქ: amnesty.org/en/get-involved/write-for-rights/

CW from 2nd R: © Caroline Hayeur / © Anastas Tarpanov / Amnesty International Bulgaria / © Amnesty International Luxembourg / © CLASSIC_BLVQ SIMBARASHE MAPWEZA M. / © Amnesty International Poland / © Amnesty International Taiwan

ზემოდან: Amnesty-ს აქტივისტები ნეპალში, კანადაში, ბულგარეთში, ლუქსემბურგში, პოლონეთსა და ტაივანში 2024 წლის „წერილების მარათონში“ მონაწილეობენ.

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

ზოგადი ინფორმაცია

გამოხატვის თავისუფლების უფლება

გამოხატვის თავისუფლების უფლება იცავს თქვენს შესაძლებლობას, გქონდეთ საკუთარი მოსაზრებები და თავისუფლად გამოხატოთ ისინი, ხელისუფლების ჩარევის გარეშე. ეს მოიცავს უფლებას, გამოხატოთ მოსაზრებები საჯარო პროტესტის, წერილობითი მასალების, მედიაპროგრამების, ინტერნეტისა და ხელოვნების ნამუშევრების გზით. ჩვენ იდეების თავისუფალი მიმოცვლა გვჭირდება, რომ მოხდეს განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინება და მრავალფეროვან იდეებზე მსჯელობა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ძირს უთხრის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას და ართულებს ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლას. გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მთლიანად საზოგადოებისთვის, არამედ თითოეული ადამიანისთვის. ჩვენი მოსაზრებები და შეხედულებები განუყოფელი ნაწილია იმისა, რაც ადამიანად გვაქცევს. ვინმეს იძულებით გაჩუმება მისი იდენტობის ნაწილის წაშლის ტოლფასია.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

გამოხატვის თავისუფლების უფლება არ წარმოადგენს შეუზღუდავ უფლებას. ზოგჯერ მთავრობებს აქვთ მოვალეობა, დაიცვან სხვა ადამიანების უფლებები ან გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესები, რისთვისაც ზოგი გამონათქვამის აკრძალვა ან შეზღუდვაა საჭირო.
მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება არ იცავს გამონათქვამებს, რომლებიც ადამიანებს ძალადობისკენ აქეზებს, მაგალითად, მოწოდებას, თავს დაესხან უმცირესობების ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში მთავრობა ვალდებულია, ჩაერიოს და ზიანი აღკვეთოს.
თუმცა ისეთი გარემოებები, რომელთა დროსაც ხელისუფლებას შეუძლია, შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, ძალიან ლიმიტირებულია და უნდა განიხილებოდეს გამონაკლისად, ვიდრე ნორმად. ასეთი შემთხვევების მიღმა მთავრობას არა აქვს უფლება, დაბლოკოს ან დასაჯოს ადამიანები მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მოსაზრებები კრიტიკული, არაპოპულარული ან თუნდაც შეურაცხმყოფელია. გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება ყველა ტიპის იდეაზე და იცავს ხალხის შესაძლებლობას, გამოხატოს პროტესტი მაშინაც კი, როდესაც მისი გზავნილი შესაძლოა აღიქმებოდეს შეურაცხმყოფლად, შოკისმომგვრელად ან შემაშფოთებლად. ნებისმიერი შეზღუდვა ადამიანის უფლებებზე, მათ შორის გამოხატვის თავისუფლებაზე, უნდა იყოს კანონიერი, პროპორციული და აუცილებელი.

ფოტოხელოვნების სტუდენტების მიერ შექმნილი პლაკატები, რომლებიც მხარს უჭერენ Amnesty International-ის კამპანიას „დაიცავი პროტესტი“ ლონდონში, გაერთიანებული სამეფო, 2025 წელს.

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

ზოგადი ინფორმაცია

გამოხატვის თავისუფლების უფლება

შეტევა გამოხატვის თავისუფლებაზე

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლებას უხეშად უტევენ. ბევრი მთავრობა ბოროტად იყენებს ძალაუფლებას კრიტიკის ჩასახშობად და მშვიდობიანი პროტესტის გასაჩუმებლად - იღებს კანონებს, რომლებითაც გამოხატვის თავისუფლების კრიმინალიზაცია ხდება, ან ბოროტად იყენებს სისხლის სამართლის კანონმდებლობას კრიტიკოსების წინააღმდეგ. ხშირად იკრძალება ან იზღუდება კრიტიკული გამოსვლები, პროტესტები და განსხვავებული მოსაზრებები როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ სივრცეში. ეს ხშირად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, საზოგადოებრივი წესრიგის, ეროვნული უსაფრთხოების ან რელიგიის სახელით კეთდება. მთავრობები არა მხოლოდ გამონათქვამებზე აწესებენ ცენზურას, არამედ უსამართლო სასამართლოს, თვითნებური დაკავებების და სასტიკი მოპყრობის მეშვეობით დევნიან ჟურნალისტებს, აქტივისტებს, ადვოკატებს, ხელოვანებს, სტუდენტებს და ყველას, ვინც ხმის ამოღებას ბედავს.

მთავრობები იყენებენ ბუნდოვან კანონებს, როგორიცაა, მაგალითად, „ყალბი ინფორმაციის გავრცელება“ ან „დაუმორჩილებლობის წახალისება,“ რომ გაამართლონ ხანგრძლივი საპატიმრო ვადები, რომლებსაც ადამიანებს ხშირად სათანადო სამართლებრივი პროცესის გარეშე უსჯიან. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება იზოლირებულ შემთხვევებს არ წარმოადგენს; ის სამოქალაქო სივრცის შემცირების გლობალურ ტენდენციას ასახავს, როდესაც ძალაუფლების მქონეთა კრიტიკა საერთაშორისო სამართლით დაცულ უფლებად კი არ განიხილება, არამედ საფრთხედ, რომელიც უნდა დაისაჯოს. ეს ქმნის მსუსხავ ეფექტს, აჩუმებს საჯარო დებატებს და ძირს უთხრის მართლმსაჯულებასა და ანგარიშვალდებულებას.

მთავრობის ვალდებულებები

მთავრობებს აქვთ იურიდიული ვალდებულება, არა მხოლოდ აირიდონ უფლებების დარღვევა, არამედ დაიცვან და უზრუნველყონ ისინი. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (UDHR) მიხედვით, მთავრობებმა უნდა:

- პატივი სცენ გამოხატვის თავისუფლების უფლებას მაშინაც კი, როდესაც ეს უფლება ხელისუფლების კრიტიკისთვის გამოიყენება (მუხლი 19)
- უზრუნველყონ მშვიდობიანი შეკრების უფლება, რათა ადამიანებმა უსაფრთხოდ შეძლონ შეკრება და თავიანთი შეხედულებების გამოხატვა (მუხლი 20)
- უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესი ყველა ბრალდებულისთვის, რათა არავინ დაისაჯოს სათანადო სამართლებრივი პროცესის გარეშე (მუხლი 10)
- დაიცვან ადამიანები წამებისგან ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან, მათ შორის უზრუნველყონ ჰუმანური საპატიმრო პირობები (მუხლი 5)
- აღკვეთონ თვითნებური დაკავებები და პატიმრობა, უზრუნველყონ, რომ არავინ იყოს დაპატიმრებული მკაფიო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (მუხლი 9).

©Abzas Media

© Myanmar Now

© Private

წაიკითხეთ ისტორიები

ქვემოთ მოცემული ისტორიები იმ ადამიანებზეა, რომლებსაც ჟურნალისტური და მედიასაქმიანობა აერთიანებთ. ამ ადამიანებმა აზერბაიჯანიდან, ყირგიზეთიდან, მიანმარიდან და ტუნისიდან გასაოცარი გამბედაობა გამოიჩინეს და პირადი უსაფრთხოების რისკის ფასად აღწერეს და ამხილეს ადამიანის უფლებების დარღვევები. თქვენი მხარდაჭერა და სოლიდარობა მნიშვნელოვანია.

დაგვიჭირეთ მხარი - დაწერეთ წერილი!

თქვენ აქ ხართ იმიტომ, რომ ადამიანის უფლებებს გაეცნოთ და ასევე რეალური ცვლილებები მოიტანოთ. ამ ქმედებების მეშვეობით თქვენ გაიგებთ, როგორ შეიძლება თქვენმა ხმამ სასიკეთოდ იმოქმედოს ადამიანების ცხოვრებაზე. სიტყვები, რომლებსაც თქვენ მარტო ან მეგობრებთან, კლასელებთან თუ თქვენს ოჯახთან ერთად დაწერთ, ადამიანების ცხოვრებას შეცვლის.

Amnesty International Taiwan

წერილების მარათონი
AMNESTY INTERNATIONAL

ბარათი ისტორიით

2024 წლის „წერილების მარათონი“ ტაივანში.

ჟურნალისტი იმიტომ გავხდი, რომ ყველას ხმა ისმოდეს

ნარგიზ აბსალამოვა

აზერბაიჯანი

27 წლის ნარგიზისთვის ჟურნალისტიკა იყო ოცნება - საშუალება, რიგითი ადამიანების ხმა გაეძლიერებინა.

აზერბაიჯანში ასეთი ოცნება სახიფათოა. ჟურნალისტები ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან - ამ ბრძოლას კი დიდი რისკი ახლავს. ნარგიზისთვის, როგორც ახალგაზრდა ქალისთვის, ჟურნალისტად გახდომა კიდე უფრო რთული იყო, რადგან ოჯახის რამდენიმე წევრი მის პროფესიულ არჩევანს ეწინააღმდეგებოდა.

ნარგიზი ქვეყნის ერთ-ერთ ბოლო დამოუკიდებელ მედიაორგანიზაციაში - „აბზას მედიაში“ მუშაობდა და კორუფციას, უსამართლობას, ქალთა უფლებებსა და გარემოსდაცვით საკითხებს აშუქებდა. თუმცა მას ეს ძვირი დაუჯდა - ის სცემეს და დააპატიმრეს. 2023 წლის დეკემბერში ნარგიზი შეთითხნილი ბრალდებით დააკავეს და ფულის კონტრაბანდაში დაადანაშაულეს. ასეთივე ბრალი ათობით სხვა ჟურნალისტს აქვს წაყენებული.

„ჩემი დაპატიმრების შემდეგ სულ იმაზე მეფიქრება, რამდენმა უფლებაშელახულმა ადამიანმა აკრიფა ჩემი ტელეფონის ნომერი, მაგრამ ვერ დამიკავშირდა,“ ამბობს ნარგიზი ციხიდან.

ბოლო ორ წელიწადში გაიზარდა დაპატიმრებული ქალი ჟურნალისტების რაოდენობა. 2025 წლის ივნისში ნარგიზს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს მის ექვს კოლეგასთან ერთად. პროტესტის ნიშნად, მან და სხვა ორმა ქალმა ზურგი შეაქციეს მოსამართლეს, როდესაც ის განაჩენს კითხულობდა. ერთხელ კი პოპკორნი მოიტანეს და სასამართლო სხდომას როგორც დადგმულ სპექტაკლს დასცინეს.

ნარგიზი არც ციხეში გაჩუმებულა. ის და სხვა ჟურნალისტები განაგრძობენ უსამართლობის და მძიმე პირობების აღწერას.

აჩვენეთ ნარგიზს, რომ ის მარტო არაა - მოითხოვეთ მისი გათავისუფლება ახლავე.

მისწერეთ პრეზიდენტს

გაუგზავნეთ წერილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს. მოითხოვეთ ნარგიზ აბსალამოვას დაუყოვნებელი გათავისუფლება და მისთვის ყველა ბრალდების მოხსნა. პრესის თავისუფლება ადამიანის უფლებაა. ჟურნალისტები არასდროს არ უნდა ისჯებოდნენ თავიანთი საქმიანობის შესრულებისთვის.

მისამართი: President of Azerbaijan
Ilham Aliyev
Office of the President of Azerbaijan
19 Istiqlaliyyat Street
Baku AZ1066, აზერბაიჯანი

მისალმება: ბატონო პრეზიდენტო
ელფოსტა: office@pa.gov.az
X: @Presidentaz
INSTAGRAM: presidentaz
ჰეშტეგები: #FreeNargiz

მისწერეთ სოლიდარობის წერილი

აზერბაიჯანში ხელისუფლება აჩუმებს ნარგიზის მსგავს დამოუკიდებელ ჟურნალისტებს. ის და მისი კოლეგები ციხიდან განაგრძობენ უსამართლობის გაშუქებას.

გაუგზავნეთ ნარგიზს სოლიდარობის ბარათი. მას პოეზია უყვარს და ერთი ლექსი მას იმედსა და ძალას შემატებს.

მისამართი: გთხოვთ, დაასკანერეთ წერილები და გააგზავნეთ ამ მისამართზე:
letterstonargiz@abzas.org

წერილების მარათონი
AMNESTY INTERNATIONAL

ნარგიზ აბსალამოვა

© Toktosun Shambetov (RFE/RL)

დაპატიმრებული და ნაცემია ჟურნალისტური საქმიანობისთვის

საი ზო თაიკი

მიანმარი

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

იმოქმედე

© Kon Blai

მიანმარში ჟურნალისტიკა ერთ-ერთი უაღრესად სახიფათო პროფესიაა. 2021 წლის შემდეგ, როდესაც მიანმარში ძალაუფლება სამხედროებმა ჩაიგდეს ხელში, 200-ზე მეტი ჟურნალისტი იქნა დაპატიმრებული. გავრცელებული ცნობების თანახმად, სულ ცოტა, შვიდი ჟურნალისტია მოკლული. აიკრძალა და გაძევებული იქნა მედიაორგანიზაციები.

ამ საფრთხის მიუხედავად, როდესაც 2023 წლის მაისში მიანმარს ციკლონმა „მოკამ“ გადაუარა, ფოტოჟურნალისტი საი ზო თაიკი ფარულად გაემგზავრა რახაინის შტატში ციკლონის დამანგრეველი შედეგების გასაშუქებლად.

ის მაშველთა გუნდს შეუერთდა, თუმცა ერთი კვირის შემდეგ დააპატიმრეს. ის დაკითხეს, სცემეს და 2023 წლის სექტემბერში სამხედრო ტრიბუნალმა მას 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა მძიმე შრომითი რეჟიმის ციხეში. მისი საქმის განხილვა მხოლოდ ერთი დღე გაგრძელდა. საი ზო თაიკის თავისუფლად უნდა შეეძლოს მოვლენების გაშუქება. ის სახლში, მის ოჯახთან უნდა იყოს, დროს საყვარელი საქმის კეთებას უთმობდეს - ფეხბურთის თამაშს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩების ყურებას და მეგობრებთან ურთიერთობას. ის თავის კატებს უნდა უვლიდეს, რომლებიც საი ზოს ძალიან უყვარს.

ამის ნაცვლად ის გამოკეტილია. მას ცემის და პერიოდულად სამარტოო საკანში გამომწყვდევის ატანა უწევს.

მოსთხოვეთ მიანმარის სამხედრო მმართველობას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს საი ზო თაიკი.

მისწერეთ მიანმარის სამხედრო ხუნტას

მოითხოვეთ, რომ სამხედრო მმართველობამ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს საი ზო თაიკი. მას 20 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი მხოლოდ და მხოლოდ მისი საქმიანობის გამო.

მისამართი: მიანმარის სამხედრო ხუნტა
გადაეცით თქვენსა ანდა მეზობელ ქვეყანაში მოქმედი მიანმარის საელჩოს ან საკონსულოს მეშვეობით

მისალმება: სამხედრო ხუნტა
ელფოსტა: sacministry1234@gmail.com
www.sacministry.gov.mm/en/contact-us
www.seniorgeneralminaunghlaing.com.mm/en/contact/

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

იმოქმედე

დაეხმარეთ საი ზო თაიკის, შეინარჩუნოს მხნეობა

მისწერეთ მეგობრული და იმედისმომცემი წერილი. წერილთან ერთად კატების სურათებიც შეგიძლიათ გაუგზავნოთ (საი ზოს რამდენიმე კატა ჰყავს).

მისამართი: Sai Zaw Thaike
c/o Amnesty International
East and Southeast Asia and
the Pacific Regional Office
M. Thai Tower
All Seasons Place
87 Wireless Road
Lumpini, Phatumwan
Bangkok
10330
ტაილანდი

FACEBOOK: www.facebook.com/myanmarnownews
X: @Myanmar_Now_Eng
INSTAGRAM: myanmar_now
ჰეშტეგები: #თავისუფლებასაიზოს, #თავისუფლებასზთ-ს, #წერილებისმარათონი25

© Myanmar Now

დააპატიმრეს და გააჩუმეს, რადგან ხმა აღიმაღლა

სონია დამანი

ტუნისი

© Private

სონია დამანის უყვარს ზღვა, მეგობრებთან ერთად სანაპიროზე ყოფნა და საღამოობით ფილმების ყურება. ის ხელოვნების დიდი დამფასებელია მისი ნებისმიერი ფორმით გამოხატულებაში - იქნება ეს ფერწერა თუ გამოფენა, თეატრი თუ მუსიკა. მაგრამ სონიასთვის ყველაზე მთავარი ოჯახია, მათ შორის საყვარელი ძაღლი კარლა.

სონია ადვოკატი და მედიაკომენტატორია. მან თავისი ცხოვრება ადამიანის უფლებების დაცვას მიუძღვნა. ის იცავს ჩაგრულების უფლებებს და საფრთხის მიუხედავად, ამბობს იმას, რისი თქმისაც სხვებს ეშინიათ. სონია რასიზმის და საპატიმროებში არაადამიანური პირობების დაუღალავი კრიტიკოსია და ამ პრობლემებზე მუდმივად საუბრობს ტელევიზიასა თუ რადიოში.

2024 წლის 11 მაისს ნიღბიანი პოლიციელები ტუნისის ადვოკატთა ასოციაციაში შეიჭრნენ და სონია დააკავეს. ის მანუბას ციხეში მოათავსეს და დღემდე იქ ამყოფებენ.

ტუნისის ხელისუფლებამ სონია „ყალბი ამბების გავრცელებაში" უსაფუძვლოდ დაადანაშაულა და პატიმრობა მიუსაჯა. მის წინააღმდეგ სხვა პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიებებიც მიმდინარეობს. მას მრავალწლიანი პატიმრობა ემუქრება უსამართლობის დაგმობის გამო. ეს პატიმრობა მისი გაჩუმების აშკარა მცდელობაა.

სონიას არაადამიანურ პირობებში ამყოფებენ. მისი საკანი ვირთხებით არის სავსე. ციხის ხელმძღვანელობა მას სასტიკად ეპყრობა და უარს ეუბნება სათანადო სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის მისთვის აუცილებელ მედიკამენტებზე..

მოითხოვეთ სონიას გათავისუფლება ახლავე

მისწერეთ პრეზიდენტს

მოსთხოვეთ ტუნისის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს სონია დამანი, გაუუქმოს მას სასჯელი და მოუხსნას ყველა ბრალდება, რადგან ის მხოლოდ იმიტომ არის დაპატიმრებული, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობდა.

მისამართი: President of Tunisia
Carthage Presidential Palace
La Goulette Road
Carthage Archaeological Site
Tunis
Tunisia

მისალმება: თქვენო აღმატებულებავ
ელფოსტა: contact@carthage.tn
FACEBOOK: www.facebook.com/Presidence.tn
X: @TnPresidency
ჰეშტეგები: #თავისუფლებასონიას, #წერილებისმარათონი25

წერილების მარათონი
AMNESTY INTERNATIONAL
ბარათი ისტორიით

აგრძნობინეთ სონიას, რომ ის მარტო არ არის.

გაუგზავნეთ სონიას იმედის და სოლიდარობის წერილი. უთხარით მას, რომ მხარს უჭერთ მის ბრძოლას ადამიანის უფლებებისთვის ტუნისში. წერილთან ერთად შეგიძლიათ ძაღლის სურათები გაუგზავნოთ (სონიას ჰყავს ძაღლი, სახელად კარლა).

მისამართი: Sonia Dahmani
c/o Amnesty International Tunisia
5 Rue Zouhair Ayadi
El Menzah 4
Ariana, Tunis 1082
ტუნისი

INSTAGRAM: freesoniadahmani
ჰეშტეგები: #თავისუფლებასონიას,
#წერილებისმარათონი25

© Getty Images/iStockphoto

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

რატომ არის სოლიდარობა მნიშვნელოვანი?

შესაძლოა ფიქრობდეთ, რომ უცნობი ადამიანისთვის წერილის მიწერით მის ცხოვრებას ვერ შეცვლით ანდა ის თქვენთან ურთიერთობას არ მოისურვებს. მაგრამ როცა ადამიანი პატიმრობაშია, ან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ანდა ის სასოწარკვეთილი ეძებს სამართალს საყვარელი ადამიანისათვის, მისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, თუ ვინმე ეტყვის, რომ სჯერა მისი. ის შესაძლოა შფოთვას და მარტოობას განიცდიდეს და თქვენი სიტყვები მას დაამშვიდებს და იმედს გაუჩენს.

2023 წელს მის მიმართ გამოხატული სოლიდარობით ანა მარია სანტოს კრუზმა გლობალური საზოგადოების მხარდაჭერა იგრძნო. ეს მას დაეხმარა, იმედი შეენარჩუნებინა შვილის, პედრო ენრიკეს, გარდაცვალების შემდეგ. პედრო აქტივისტი იყო და რასობრივ სამართლიანობასა და ადამიანის უფლებებს იცავდა. ის 2018 წელს მოკლეს.

ანა მარია შეუპოვრად ცდილობდა, დაედგინა სიმართლე შვილის სიკვდილის შესახებ და ბრაზილიის ხელისუფლებას სრულყოფილი გამოძიების და სასამართლო პროცესის ჩატარებისკენ მოუწოდებდა. მთელი მსოფლიოდან მიღებულმა მხარდაჭერის ათასობით წერილმა მას ძალა შემატა და შეაძლებინა, თავის მწუხარებას და მის წინააღმდეგ მიმართულ მუქარებს გამკლავებოდა. მან თქვა:

ანა მარია სანტოს კრუზი

ბრაზილია

> **„ყოველთვის ვამბობ, რომ პედრომ ბევრი რამ მასწავლა, მათ შორის დაუღალავი ბრძოლა სამართლიანობისთვის. Amnesty International-თანაც პედრომ დამაკავშირა, რადგან ის ამ მოძრაობის მხარდამჭერი იყო. ხუმრობით მეუბნებოდა ხოლმე, რომ ერთ მშვენიერ დღეს Amnesty International მას აფრიკის ქვეყნებში, იამაიკასა და სხვა ადგილებში წაიყვანდა უფლებადაცვითი საქმიანობის შესასრულებლად. ვინ იფიქრებდა, რომ მართალი აღმოჩნდებოდა?**
>
> **მისი მკვლელობის შემდეგ, „წერილების მარათონის“ კამპანიის მეშვეობით, პედრო ენრიკე და მე თითქოს სხვადასხვა ქვეყანაში აღმოვჩნდით სამართლიანობისთვის ბრძოლის ამ ისტორიის წყალობით. სოლიდარობის ამ ტალღამ გამაბედნიერა და გამაძლიერა, რაც გულს მიმშვიდებს.“**

© Gabriel Yatade/Amnesty International

ზემოთ: Amnesty-ის აქტივისტები ზიმბაბვეში მუშაობენ პედროს საქმეზე. მარჯვნივ: ანა მარია სანტოს კრუზი თავისი ვაჟის, პედრო ენრიკეს, პორტრეტით პასოს კიბესთან, სალვადორში.

AMNESTY INTERNATIONAL-ის შესახებ

Amnesty International 10 მილიონი ადამიანის მოძრაობაა, რომელიც ჰუმანურობის მობილიზებას ახდენს ყველაში და კამპანიებს ატარებს ცვლილებებისთვის, რათა ჩვენ ყველამ ჩვენი უფლებებით სარგებლობა შევძლოთ. ჩვენი ხედვა გულისხმობს ისეთ მსოფლიოს, სადაც ძალაუფლების მქონენი ასრულებენ თავიანთ დანაპირებს, იცავენ საერთაშორისო სამართალს და პასუხს აგებენ საკუთარ ქმედებებზე. ჩვენ ვიძიებთ და ვამხელთ ადამიანის უფლებების დარღვევებს, სადაც არ უნდა ხდებოდეს ისინი. იმ ადამიანთა შთამბეჭდავი ისტორიების გავრცელებით, რომლებთანაც ვმუშაობთ, მილიონობით მხარდამჭერის მობილიზებას ვახდენთ, რომ ცვლილებები მოვითხოვოთ და ჩვენი ქმედებებით სოლიდარობა გამოვუცხადოთ წინა ხაზზე მებრძოლ აქტივისტებს. ჩვენ განათლებითა და ტრენინგებითაც ვეხმარებით ადამიანებს თავიანთი უფლებების დაცვაში.

ჩვენი საქმიანობა - სიკვდილით დასჯის გაუქმებით თუ კლიმატის სამართლიანობისა და ხარისხის პოპულარიზაციით დაწყებული, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლითა თუ ლტოლვილებისა და მიგრანტების უფლებების დაცვით დამთავრებული - ადამიანების დაცვასა და გაძლიერებას ემსახურება. ჩვენი საქმიანობით ხელს ვუწყობთ წამების ჩამდენთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენას, რეპრესიული კანონების შეცვლას და იმ ადამიანთა გათავისუფლებას, რომლებიც ციხეში მხოლოდ საკუთარი აზრის გამოხატვის გამო აღმოჩნდნენ. ჩვენ ვიცავთ ყველას და თითოეულს, ვის თავისუფლებასაც თუ ღირსებასაც საფრთხე ემუქრება.

AMNESTY INTERNATIONAL გლობალური მოძრაობაა ადამიანის უფლებების დაცვისთვის. როდესაც უსამართლობა ერთი ადამიანის მიმართ ხდება, ეს ჩვენ ყველას გვეხება.

Amnesty-ის მხარდამჭერები და წევრები მონაწილეობენ 2024 წლის „წერილების მარათონში" ნიდერლანდებში.

© Amnesty International 2025
თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ამ დოკუმენტში მოცემული მასალები დაცულია Creative Commons-ის ლიცენზიის შესაბამისად (წყაროს მითითება, კომერციული გამოყენება, წარმოებული პროდუქციის დაუშვებლობა, საერთაშორისო ვერსია 4.0). https://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/legalcode
დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ნებართვების გვერდს ჩვენს ვებგვერდზე: www.amnesty.org
იმ მასალაზე, რომლის საავტორო უფლება ეკუთვნის სხვას და არა Amnesty International-ს, Creative Commons-ის ლიცენზია არ ვრცელდება.

პირველად გამოიცა 2025 წელს
Amnesty International Ltd-ის მიერ
Peter Benenson House,
1 Easton Street
London WC1X 0DW, UK

2025 წლის სექტემბერი
ინდექსი: **POL 32/9526/2025**
ორიგინალი ენა: **ინგლისური**

ყველა ფოტო © Amnesty International, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ყდის ფოტოები:
© Nagy Szabolcs и Marieke Wijntjes
© Marieke Wijntjes
ბოლო გვერდის ფოტო: © Marieke Wijntjes

amnesty.org

დიზაინი და ილუსტრაცია: Off Colour Design
სარედაქციო მხარდაჭერა: საფია ფლიორი

წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL